2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის დამატებითი საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-17 მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძნებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-7 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 14 სექტემბრის №737 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, ბიზნესის ფაკულტეტის (სპეციალობა - ტურიზმის მენეჯმენტი) და სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე და საინჟინრო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის დამატებითი რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2012 წლის 22 და 23 სექტემბერი, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (უნივერსიტეტის კანცელარია, მის. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5, ტელ.223 10 26).

2. მობილობის უფლების მქონე პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:

ა) წარმოსადგენი საბუთები **ბაკალავრებისათვის**:

1. განცხადება რექტორის სახელზე (იწერება კანცელარიაში);
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, ატესტატის ასლი;
4. 2 ფოტოსურათი და კომპაქტ - დისკზე (CD) ჩაწერილი ფოტო ზომით ¾ ;

5. ცნობა სტუდენტობის შესახებ (ფაკულტეტის, სწავლების წლის, პროგრამის, სწავლის წლიური საფასურისა და სასწავლო გრანტის მოცულობის მითითებით) გაცემული 2012 წლის მაისიდან;

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7. ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი / ამონაწერი;

8. სოციალური გრანტის (ან დაფინანსების სხვა წყაროს) არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი ბრძანების ასლი;

9. აკადემიური მოსწრების ბარათი (ნიშნების ფურცელი);

10. სტატუსის შეჩერებისა ან შეწყვეტის შემთხვევაში - აღნიშნული ბრძანების დამოწმებული ასლი / ამონაწერი;

11. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

ბ) წარმოსადგენი საბუთები **მაგისტრანტებისათვის:**

1. განცხადება რექტორის სახელზე (იწერება კანცელარიაში);

2. პირადობის მოწმობის ასლი;

3. 2 ფოტოსურათი და კომპაქტ - დიკზე (CD) ჩაწერილი ფოტო ზომით ¾ ;

4. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);

5. ცნობა სტუდენტობის შესახებ (ფაკულტეტის, სწავლების წლის, პროგრამის, სწავლის წლიური საფასურისა და სასწავლო გრანტის მოცულობის მითითებით) გაცემული 2012 წლის მაისიდან ;

6. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების სერტიფიკატის დამოწმებული ასლი;

7. ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი / ამონაწერი ;

8. სოციალური გრანტის (ან დაფინანსების სხვა წყაროს) არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი ბრძანების ასლი;

9. სტატუსის შეჩერებისა ან შეწყვეტის შემთხვევაში - აღნიშნული ბრძანების ასლი / ამონაწერი (დამოწმებული);

10. აკადემიური მოსწრების ბარათი (ნიშნების ფურცელი);

11. ბაკალავრის დიპლომის ასლი.

3. ფაკულტეტების მობილობის კომისიებისათვის კრედიტების თავსებადობის დასკვნების მოსამზადებელ ვადად განისაზღვროს 23 და 24 სექტემბერი.

4. მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ხელშეკრულებების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 25 სექტემბრის დღის 12:00 საათი.

5. სწავლის გაგრძელების უფლების მქონე ის კანდიდატები, რომლებიც ამ ბრძანებით დადგენილ რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადებში არ გამოცხადდებიან უნივერსიტეტში, კარგავენ ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს დაევალოს, მიაწოდოს უნივერსიტეტის რექტორს 2012 წლის 25 სექტემბერს იმ პირთა სია, რომლებმაც ამ ბრძანების თანახმად გაიარეს რეგისტრაცია და გააფორმეს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

8. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების, ბიზნესის, საინჟინრო და სამართლის ფაკულტეტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაცო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

რექტორი **გიგი თევზაძე**